ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 28 დეკემბერი, 2022 | №256 (9034) | ფასი: 80 თეთრი



გვ.5

**ვადაგასული და საკვებად უვარგისი რძის პროდუქტების რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი ამხილეს**

**შალვა ხაჭაპურიძე პენიტენციური სამსახურისგან განმარტებებს ითხოვს, რატომ აეკრძალა მიხეილ სააკაშვილს წერილების გაგზავნა**


გვ.5

# სალომე ზურაბიშვილმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას არ ჩააკვდეს მესამე პრეზიდენტი“


გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ჩვენ ვართ რუსეთის მსხვერპლი ქვეყანა, უკრაინასთან ერთად. 2022 წელი ისტორიაში სამარცხვინო წლად შევა“




გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „მოვუწოდებ სალომე ზურაბიშვილს, ყველა უფლება გამოიყენოს“

# „ქართული ოცნება“ ყველა ინსტიტუტს მიადგა“

**რას ეძებდნენ გამომძიებლები მიხეილ სააკაშვილის პალატაში**


გვ.4

**თამაზ დათუნაშვილი: „ჯაბა სამუშიას ჯილდოდ მისცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა“**


გვ.2


გვ.3

ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, გაზრდილი პენსიები და ხელფასები, ახალი სამუშაო ადგილები, სოციალური პროგრამები – პრემიერის ანგარიშის აქცენტები

## ირაკლი ღარიბაშვილი: „აფხაზეთი შეიძლება გახდეს მეორე მონაკო, ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება“


გვ.4

„რუსეთის არმიის განადგურება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა კრემლში ხელისუფლების შესაცვლელად“

## „რუსეთს მარაგი ელევა“

**პუტინი საზღვარგარეთ ნავთობის მიწოდებას კრძალავს**


გვ.4

5 ხობში კაცმა მეზობელი დაჭრა

5 ვაჭრობა ბავშვებით – „აიძულებდა მათხოვრობას და ქურდობას“

6 ქალმა ქმარი წმინდა ვალენტინის დღეს მოკლა

6 პუტინი ბაიდენს ახალ წელს არ მიულოცავს

1993230720223

# სალომე ზურაბიშვილმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას არ ჩააკვდეს მესამე პრეზიდენტი“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ჩვენ ვართ რუსეთის მსხვერპლი ქვეყანა, უკრაინასთან ერთად. 2022 წელი ისტორიაში სამარცხვინო წლად შევა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტ-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ განვლილ 2022 წელს? რა მნიშვნელოვან საკითხებს, დადებით და უარყოფით ტენდენციებს გამოყოფდით?***

– ზოგადად, კარგი რა მოხდა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ 2022 წელი არის, პირდაპირი მნიშვნელობით, კატასტროფული და უკრაინაში რუსეთის შეჭრამ ეს ყველაფერი განაპირობა. ამავდროულად, ეს ყველაფერი ჩვენ გვეხება, საქართველოს. ამიტომ მთელი ამ წლის სიმძიმე არის ის, რომ ეს კატასტროფული ომი, თითქოს სადღაც უკრაინაში, საქართველოს ეხება და საქართველო ამას არ იღებს. განყენებულად უყურებს, თითქოს მართლა სხვაგან ხდება. არადა, ეს სწორედ ჩვენთან ხდება. ჩვენ ვართ ერთადერთი მსხვერპლი სახელმწიფო, უკრაინასთან ერთად, რუსეთის იმპერიალიზმისა. პუტინის იმპერიალიზმს ორი მსხვერპლი ყავს, ჯერ საქართველო და შემდეგ უკრაინა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ არ შევიმჩნიოთ, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხება. ესაა წლევანდელი წლის დრამატული დამღა, რომელიც გაგვყვება წლები და წლები. იმედია, რომ 2023 წელს ეს ყველაფერი დასრულდება და საქართველო მაინც მიიღებს თავის დამსახურებულ შედეგებს ამ ომიდან, რადგან ჩვენც შეგვეხება რუსეთის იმპერიალიზმის გასვლა საქართველოდან. ხოლო თუ ეს არ მოხდება, ეს იქნება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ბრალი. საქართველოსთვის ეს არის ძალიან მტკივნეული წელიწადი, საქართველო როგორ ვერ ახერხებს მისთვის შექმნილი ვითარების მის სასარგებლოდ გამოყენებას.

***– გვქონდა შანსი კანდიდატის სტატუსის, მაგრამ ზურგი ვაქციეთ. შეიძლება ასე ითქვას?***

– კანდიდატის სტატუსი რომ არ მიეღო უკრაინას და მოლდოვას, კიდევ გასაგები იქნებოდა, ახლა კი წარმოჩნდა თუ რამდენად შორსა ვართ რეალობისგან. შეიძლება კანდიდატის სტატუსი არც უკრაინას არ დაუმსახურებია, არც მოლდოვას, არც საქართველოს, მაგრამ იმ ორმა რომ მიიღო, ამით კიდევ მეტად გამოჩნდა, რამდენად დისტანცირებული ვართ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან, რომელიც ჩვენ გვეხება. ამიტომ საკმაოდ მტკივნეული იყო 2022 წელიწადი. მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაქვს და საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ სამარცხვინო წელიწადად შევა ეს წელი. ეს ვითომდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ეს მშვიდობის ქალაქი, ყველას დაავიწყდება, როდესაც გამოიკვეთება ეს სამარცხვინო წელიწადი.

***– საპირწონედ გვიდებენ, გვაქვს მშვიდობა, გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდაო. ეს რამდენად წონის ევროინტეგრაციას?***

– ვერანაირად ვერ წონის! პირიქით, ყველგან წარმოაჩენს ამ სამარცხვინო მდგომარეობას. ეს არაფერი არაა იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ხელიდან ვუშვებთ.

***– რამდენი ხნით ვკარგავთ ამ შანსს?***

– ჯერ არ დაგვიკარგავს, ჯერ კიდევ გრძელდება, ვიდრე საბოლოოდ არ მიიღებს გადაწყვეტილებას ევროკავშირი, მანამდე შანსები გვაქვს. 2023-ში იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, თუ იმ წელს არ მოგვცეს, მაშინ გამოდის, რომ კიდევ 10 წლით ვკარგავთ ამ შანსს.

***– შიდა პოლიტიკურ პროცესებს როგორ აფასებთ? ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სერიოზულად დაიწყო პრეზიდენტ ზურაბიშვილის შევიწროება. ელჩებთან გამართული შეხვედრის ინციდენტიც ამას მოწმობს. ხომ არ ფიქრობენ, რომ სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის შეწყალებას გეგმავს და მაქსიმალურ ზეწოლას ახდენენ მასზე?***

– მე მგონი, რომ ასეა. „ქართულ ოცნებას“ ვერავინ ვერ გაუმართლა. კოალიციამ ვერ გაუმართლა თავის დროზე, ვერ გაუმართლა მარგველაშვილმა, ახლა ვერ გაუმართლა ზურაბიშვილმა, ვერ გაუმართლა გუნდმა. როგორც კი გადააგდეს საქართველო პროპორციული სისტემიდან, მაშინვე გამოვიდა მთელი პროევროპული ძალები. გამოვიდა ჩუგოშვილის გუნდი, მერე ბესელია და დანარჩენები, შემდეგ გახარია და მისი გუნდი. ანაკლიის პორტის დახურვა. ყველაფერი ეს, ერთად აღებული მეტყველებს, რამდენად არაადეკვატურები არიან და არ შესწევთ უნარი შეაფასონ სიტუაცია. მხოლოდ ჩაბღაუჭებულები არიან ძალაუფლებას და მეტი არაფერი არ უნდათ. რა თქმა უნდა, ამ ფონზე აშკარად ჩანს, რომ ზურაბიშვილის ქცევები მათთვის ყოვლად მიუღებელია და ცდილობენ, შეარყიონ მისი ავტორიტეტი, რეპუტაცია და დაამცირონ, თუნდაც სკამის გამოცლით. ბავშვებს რომ უყვართ, სკამს რომ გამოაცლიან, რომ ვიღაც დაანარცხონ ძირს, აი ზუსტად ასე გააკეთეს გუშინ. სასაცილოები არიან. უკვე იმდენად დრამატული სიტუაცია გვაქვს, რომ უნდა იხარხარო. ტირილით ვერაფერს ვუშველით და იქნებ სიცილით ცოტა დადებითი მუხტი შემოვიტანოთ. უბრალოდ, სასაცილოა მათი ყველა ქცევა.



***– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? გაბრაზებული პრეზიდენტი და მათგან შეურაცხყოფილი, კიდევ ხომ არ დააჩქარებს სააკაშვილის შეწყალების საკითხს?***

– იმდენად მართლაც ამაზრზენად იქცევა „ქართული ოცნება“ სააკაშვილის მიმართ, რომ მეც კი, რომლისთვისაც ყოვლად მიუღებელი იყო სააკაშვილი ყოველთვის, მის მიმართ სიმპათიები მიჩნდება. არ შეიძლება ადამიანს ასე მოექცე! რით ჯობნი შენ სააკაშვილს, როცა შენ მას ისევე ექცევი, როგორც ის იქცეოდა 2012 წლამდე. ამ დროს შენ რითა ხარ მასზე უკეთესი, როცა ასე აწამებ, როცა 6 თვეზე მეტია გყავს საავადმყოფოში, ვერ კურნავთ, უფრო და უფრო ავადდება და ურცხვად ამბობ, ლუქსის ნომერში ზისო. აბსურდზე დადის ეს ყველაფერი. ამ ფონზე, ბუნებრივია, სალომე ზურაბიშვილში ჩნდება გარკვეული ხედვები, რომელიც იცვლება სააკაშვილის მიმართ და როგორც პრეზიდენტს, გააზრებული აქვს თავის პასუხისმგებლობა, რომ მის ხელში არ უნდა მოკვდეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ის კონსულტაციებს გადის, იურისტებს ეკითხება, როგორ მოიქცეს და, ბუნებრივია, ეს საუბარი აღწევს „ქართულ ოცნებამდე“ და ისინიც გრძნობენ, რომ ზურაბიშვილი ამაზე ფიქრობს. ფიქრობს, როგორ გამოვიდეს მდგომარეობიდან. ვინაიდან, ვიდრე ფიქრის პროცესშია, „ოცნებამ“ ამ ჩხირკედელაობით და სკამის გამოცლით, შესაძლოა, მიაღწიონ მის დაშინებას და ფიქრის დროს გადააფიქრებინონ შეწყალება.

***– ხომ შეიძლება, პირიქით, უკურეაქცია მიიღონ ამაზე?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამდენს ველარ ფიქრობენ. ავტორიტარული მმართველები ამდენს ვერ თვლიან. ამ საცოდავებმა ჯერ ბოლომდეც ვერ მიაღწიეს ავტორიტარიზმს და უკვე კრიზისში არიან. ბოლომდე არც აუშენებიათ ავტორიტარიზმი და უკვე ვარდნაში არიან.

***– რა მოლოდინი გაქვთ? სააკაშვილის ადვოკატები ფიქრობენ, რომ შესაძლოა სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება და სააკაშვილი გაუშვან სამკურნალოდ.***

– სასამართლოსგან არა მაქვს ამის იმედი. ივანიშვილი სასამართლოს ამას არ უკარნახებს, არც „ქართული ოცნება“ და სასამართლოც კი თავისით ვერაფერს გადაწყვეტს. სააკაშვილმა როგორც კი დააპირა უკრაინულ ენაზე საუბარი, ის უკრაინის მოქალაქეა და ამის სრული უფლება ჰქონდა, იმის მაგივრად, სასამართლოს მისთვის თარჯიმანი მოეყვანა, სულ ჩააკმენდინეს ხმა. როგორ შეიძლება, ამას დავარქვათ სასამართლო, როცა ეჭვმიტანილს ასე ექცევა მოსამართლე. ასეთი სასამართლოსგან მე არ ველოდები რამე ადეკვატური, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. მე ვფიქრობ, რომ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, სააკაშვილს უნდა უმკურნალონ საქართველოში. იტყვიან, რომ აქაც მშვენივრად უმკურნალებენ და არაა აუცილებელი მისი უცხოეთში გადაყვანა. სააკაშვილის უცხოეთში გადაყვანა, ეს არის კრახი „ქართული ოცნებისთვის“.

***– ახლა ასეთი ვერსია აამუშავეს „ოცნების“ მომხრე პოლიტიკოსების და ექსპერტების ენით, რომ საკმაოდ სახიფათო სიტუაციაა, რომ ემზადებიან გადატრიალებისა და რევოლუციისთვის. საზოგადოების დაშინების ახალი ტალღა ააგორეს?***

– ეს ხომ ზღაპრებია. ეს „აბა ომი გინდას“ ახალი ვარიანტია. ეს მისი სამარცხვინო გაგრძელებაა. არავის არავითარი ომი არ უნდა, ეს არის მორიგი სისულელე! რა გადატრიალება, 500 კაცი ვერ გამოუყვანიათ ქუჩაში. რა თქმა უნდა, არაფერი ამას საერთო არა აქვს რეალობასთან.

***– რა მოლოდინი გაქვთ 2023 წლისთვის, შეიცვლება ვითარება? ოპოზიცია ძალიან სუსტია, ამიტომ ცვლილებების მოლოდინიც ნაკლებია ხალხში.***

– დიახ, ძალიან სუსტია, გეთანხმებით. როგორიც იყო 2021 წელი, როგორიც იყო 2022 წელი, ისე იქნება 2023 წელიც საქართველოსთვის. მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქართველოს გარეთ მოხდება რაღაც მნიშვნელოვანი, რაც საქართველოზე გავლენას მოახდენს. პირველ რიგში კი, ეს არის უკრაინა-რუსეთის ომის დასრულება, სადაც უკრაინა გაიმარჯვებს, სადაც რუსეთი ვერ მიაღწევს თავის შედეგებს. მსოფლიო ცალსახად უკრაინის გვერდში იქნება. ამ ფონზე, რუსეთს მოუწევს გარკვეული ვალდებულებების შესრულება მსოფლიოს წინაშე. ამ ფონზე უნდა იყოს საქართველოდან ჯარების გაყვანის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია საქართველო, ამ ფონზე მსოფლიო მაინც იფიქრებს ჩვენზე.

# თამაზ დათუნაშვილი: „ჯაბა სამუშიას ჯილდოდ მისცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა“

ეჭვი მაქვს, ჯაბა სამუშიას დაუფასეს სახელისუფლო ექსპერტობის გამოცდილება და ჯილდოდ მისცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა, – ამის შესახებ „ლელოს“ საორგანიზაციო მდივანმა თამაზ დათუნაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ჯაბა სამუშიას არჩევის საკითხზე საუბრისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევის ის ფორმა და წესი, რომელიც ვიხილეთ, მიუღებელია.

– ჯაბა სამუშიას ლტოლვა უმაღლესი აკადემიური თანამდებობისაკენ აქამდე არ იძებნება. ჯაბა სამუშია არის ისტორიკოსი. ის ბევრი კვლევის ავტორია. აქ განმსაზღვრელი არ არის მისი აკადემიური წარმატება. განმსაზღვრელი არის ის, რომ ჯაბა სამუშია საკრებულოში „ქართული ოცნების“ წევრი იყო. მეორე მხრივ, სახელისუფლო ტელევიზიებში ხშირად ვხედავთ სახელისუფლო ექსპერტის ამპულაში. სამწუხარო ეჭვი მაქვს იმის, რომ ჯაბა სამუშიას დაუფასეს სახელისუფლო ექსპერტობის გამოცდილება და ჯილდოდ მისცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა.

თუ სახელმწიფოს მხრიდან არ გაქვს დანიშვნა და კურთხევა მიღებული, პირველ რიგში, თვითონ იტყოდა უარს ამ ტიპის ლეგიტიმაციით, ამ წესით და ფორმით არჩევაზე, – განაცხადა დათუნაშვილმა.

ამასთან, დათუნაშვილმა უნივერსიტეტის რეფორმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლო 20 წლის განმავლობაში არ განვითარებულა, რაც სტაგნაციაზე მეტყველებს.

მისივე შეფასებით, ყველა რეიტინგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის კატასტროფულ ნიშნულებზე. მისივე თქმით, კერძო უნივერსიტეტები ბევრად ხარისხიან დიპლომს აძლევენ სტუდენტებს.



– სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს უნივერსიტეტი მთლიანად დაექვემდებარა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს. სააკაშვილის ადმინისტრაციის დროს ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული კონსოლიდაცია მოხდა. ეს ტრადიცია გააგრძელა „ქართულმა ოცნებამ“, პოლიტიკური შინაარსისგან დაცალა საუნივერსიტეტო დაწესებულებები. ამან სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა, უნივერსიტეტი არ განვითარებულა. 20 წლის განმავლობაში სასწავლო გადასახადი არ შეცვლილა. ერთი მხრივ, ეს კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ კლასიკური სტაგნაცია გვაქვს. დიახ, უნდა გაძვირდეს სწავლის საფასური. წელიწადში, სახელმწიფო უნივერსიტეტში 3 ათასი დოლარი ჯდება. 3 ათას დოლარად, ვერც ერთ ნორმალურ უნივერსიტეტში ვერ ისწავლი. როდესაც სწავლის საფასური ამდენი ჯდება, ზედმეტია ლაპარაკი ხარისხზე, კონკურენტულ დიპლომსა და სწორ განათლებაზე.

ყველა რეიტინგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის კატასტროფულ ნიშნულებზე. საერთაშორისო თვალსაზრისით არაკონკურენტულია, ამასთან, ადგილობრივი თვალსაზრისით არაკონკურენტულია. კერძო უნივერსიტეტები ბევრად ხარისხიან დიპლომს აძლევენ სტუდენტებს.

ის, რასაც სტუდენტები ითხოვენ, მიმაჩნია სწორად. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის ლეგიტიმაციისთვის 40-კაციანი აკადემიური საბჭო არ არის საკმარისი. აქ სტუდენტური თვითმმართველობაც არის ჩასართავი, – განაცხადა დათუნაშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ ყველა ინსტიტუტს მიადგა“

## ლევან ალაფიშვილი: „მოვუწოდებ სალომე ზურაბიშვილს, ყველა უფლება გამოიყენოს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისა და მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ დამოკიდებულებაზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, თქვენ რითი ხსნით პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის „ელჩების კონფერენციაზე“ მომხდარ მორიგ სკანდალს, რაც არ არის პირველი შემთხვევა?***

— ნამდვილად არ არის პირველი შემთხვევა და ეს არ უკავშირდება მხოლოდ სალომე ზურაბიშვილს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ, ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო. თუ გახსოვთ, პრეზიდენტ მარგველაშვილს როგორ „გამოუწერეს“ კანცელარიის ორ ოთახში დაჯდომა.

***— გაეროში სიტყვით გამოსვლაზეც უარი უთხრეს.***

— დიახ, ვიზიტებზე უარი სერიოზული საკითხია, მაგრამ რადგან ამჯერად სკამის დადგმაზეა საუბარი, ამიტომ გავიხსენე მარგველაშვილისადმი დამოკიდებულება, რომელიც ფურნიტურამდე დაიყვანეს.

***— ცოტა ხნის წინ, როდესაც ილჰამ ალიევის ვიზიტი იყო, სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ პრესიდან გაიგო და საერთოდ არ იცოდა. როგორ ფიქრობთ, რეალური მიზეზი რა არის ამ დამოკიდებულების? რატომ ირღვევა კონსტიტუციური სუბორდინაცია?***

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს არის სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა, რომელიც იწყება ინსტიტუტების მოშლით, მორღვევით, უგულებელყოფით. „ქართული ოცნება“ მიადგა ყველა ინსტიტუტს. ყველა კონსტიტუციური ინსტიტუტის დამორჩილება სურს. ამის ნათელი მაგალითია სახალხო დამცველის დამოუკიდებელი ინსტიტუტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. დღემდე არ არის არჩეული ახალი სახალხო დამცველი. ეს იყო ბოლო ბასტიონი და ალბათ მისი სრული დამორჩილებაც მოხდება. პროცესი ჩავარდა და ახლა გვეუბნებიან, რომ გაზაფხულზე მოხდება არჩევა. როგორც ჩანს, ოპოზიციასთან კარგად ივაჭრებენ, ამიტომ მოხდა პროცესის ასე გადავადებაც.



ასე იწყება სახელმწიფოებრიობის მოშლა, როდესაც კონსტიტუციური, დამოუკიდებელი ინსტიტუტების დამორჩილება და პარტიულ სამსახურში ჩაყენება ხდება და არა კანონისა და კონსტიტუციის დაცვა, რომელიც არის ნებისმიერი ამ ინსტიტუტის მოვალეობა.

***— პრეზიდენტ ზურაბიშვილს რომ დავუბრუნდეთ. არ ჩადგა პარტიის სამსახურში, „ქართულ ოცნებას“ იმედები გაუცრუა? მაინც რას უკავშირებთ ამ დამოკიდებულებას?***



— უდავოდ, „ქართულ ოცნებას“ იმედები გაუცრუა სალომე ზურაბიშვილმა. ალბათ გახსოვთ, რომ ზურაბიშვილი თავიდან, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ისე გამოვიდა. როგორც ჩანს, თავიდანვე არ იყო სრული ნდობა მისდამი. ლამის პარტიის დანგრევის ფასი დაუჯდა მეორე ტურში მისი მხარდაჭერა „ქართულ ოცნებას“. ამიტომ მისგან ბევრად მეტს „მოელოდნენ“.

„ქართული ოცნებისთვის“ წარმოუდგენელი იყო ვეტოს გამოყენება. მათ ჩათვალეს, რომ ფრონტი გახსნილია. აშკარაა, რომ ღია ომი მიდის. ელჩების სკანდალთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას, სასამართლოსადმი მეორე მიმართვა მოჰყვა, რომელიც, თუ არ ვცდები, აგვისტოში მოხდა.

რაც შეეხება საგარეო ვიზიტებთან დაკავშირებით გაკეთებულ პრეზიდენტის განცხადებას, სრულიად წარმოუდგენელი იყო. ეს „ჩახსნა“, პირველ რიგში, დისკრედიტაციას აყენებს სახელმწიფოს, ქვეყანასა და მის იმიჯს.

მე რომ სალომე ზურაბიშვილის მრჩეველი ვიყო, აუცილებლად ვურჩევდი მის ხელთ არსებული, მართალია მწირი, მაგრამ არსებული უფლებამოსილების სრულად გამოყენებას.

***— მათ შორის მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასაც?***

— რა თქმა უნდა. როდესაც უფლებამოსილების სრულ გამოყენებაზე ვსაუბრობ, ცხადია, აქ შეწყალების დისკრეციის გამოყენებასაც ვგულისხმობ.

აქვე ვგულისხმობ იმ უწყინარი უფლების გამოყენებასაც, რასაც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა ჰქვია. ეს სარჩელი შეუძლია პრეზიდენტს უფლებამოსილების გამიჯვნასთან დაკავშირებით შეიტანოს. სხვათა შორის, მე, ამ უფლებით სარგებლობისკენ პრეზიდენტ მარგველაშვილსაც მოვუწოდებდი. ამაში უცნაური არაფერია. საკონსტიტუციო სასამართლო ის ორგანოა, რომელიც სწორედ სახელმწიფო შტოებს შორის ბალანსს აგვარებს. ეს დემოკრატიული პროცესია და ამაზე ვერავინ უსაყვედურებს სალომე ზურაბიშვილს. თუმცა კი, „ქართულ ოცნებას“ დისკომფორტი ნამდვილად შეექმნება.

***— ფიქრობთ, ეს პინგ-პონგი გაგრძელდება?***

— რასაკვირველია. მეტიც, 2024 წლისთვის კიდევ უფრო სხვა კონტურებს შეიძენს.

***— რატომ?***

— კონსტიტუციის ახალი ნორმით, შემდეგ პრეზიდენტს პარლამენტში ხმოსნები აირჩევენ. თუ სალომე ზურაბიშვილი გადაწყვეტს ხელახლა იყაროს კენჭი, მაშინ „ოცნება“ ზურაბიშვილს დრამატულად დაუპირისპირდება. მეორე მხრივ, ზურაბიშვილიც ეცდება, იმიჯდაზიანებულ „ოცნებას“ სრულად გაემიჯნოს და მასთან არ იყოს იდენტიფიცირებული.

ახალი პოლიტიკური კალენდრის შესაბამის ქცევებს ვიხილავთ ორივე მიმართულებით.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „აფხაზეთი შეიძლება გახდეს მეორე მონაკო, ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება“

## ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, გაზრდილი პენსიები და ხელფასები, ახალი სამუშაო ადგილები, სოციალური პროგრამები — პრემიერის ანგარიშის აქცენტები

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მიერ 2022 წლის მუშაობა შეაჯამა.

— ჩვენ უკვე წელსაც გვექნება 10%-იანი ეკონომიკური ზრდა, შარშან გვქონდა 10.5% ეკონომიკური ზრდა.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2020 წელს, შედარებისთვის, შეადგენდა დაახლოებით 4.200 დოლარს, 2021 წელს გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი, წელს უკვე მოსალოდნელია, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი იქნება 6.700 დოლარი დაახლოებით და ჩვენი პროგნოზებით, 2023 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 8.000 დოლარს მიუახლოვდება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა 2020 წელს იყო დაახლოებით 50 მილიარდი ლარი, 2023 წელს იქნება 80 მილიარდი ლარი — ანუ სამ წელიწადში 30 მილიარდიანი ზრდა გვაქვს, რაც დამეთანხმებით, რომ არის საკმაოდ სერიოზული პროგრესი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ეს ტემპი არ უნდა შეჩერდეს, პირიქით, უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, მეტი პასუხისმგებლობით, მეტი ტემპით უნდა გავაგრძელოთ წინსვლა და რეფორმები.

საგარეო ვალი, ინფორმაციისთვის, 2020 წელს გაიზარდა 60%-მდე, მშპ-სთან მიმართებაში, 2022 წელს — წელს ვალის 39%-მდე ჩამოსვლა შევძელით, ხოლო მომავალ წელს იქნება 38%, 22%-ზე მეტი კლება გვაქვს ვალის სულ რაღაც 2 წელიწადში.

პანდემიის დროს, გახსოვთ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი იყო ძალიან მაღალი, 9,3 პროცენტი იყო დეფიციტი. შარშან, როცა მე დავინიშნე პრემიერ-მინისტრად, მაშინ ჩამოვწიეთ 6,1%-მდე, შემდეგ, წელს უკვე 3%-მდე მოვახერხეთ დეფიციტის შემცირება და გაისად უკვე 2,8% იქნება ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ასევე მნიშვნელოვანი პროგრესია, მე მინდა ყველას მადლობა გადავუხადო.

ახლა რაც შეეხება ექსპორტის მონაცემებს, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ბოლო ორ წელში საგრძნობლად გავზარდეთ ექსპორტი, 32%-ით არის გაზრდილი იანვარ-ნოემბერში ექსპორტი და შეადგინა 5 მილიარდ დოლარზე მეტი, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 21%-ით არის გაზრდილი და 3 მილიარდ 400 მილიონ დოლარს გაუტოლდა, იანვარ-ნოემბერში სავაჭრო ბრუნვა 17 მილიარდი დოლარით განისაზღვრა, რაც, ჩვენ თუ შევადარებთ წინა წლის მონაცემებს, არის 32%-იანი მატება. აქვე მინდა აღვნიშნო, 10 თვის სავაჭრო მონაცემების მიხედვით, ეს მონაცემები, შარშანდელ მთელი წლის მაჩვენებელზე მეტია, — განაცხადა ღარიბაშვილმა.



მისი განცხადებით, ტურიზმი ძალიან სწრაფი ტემპებით აღდგა, შეიძლება ითქვას, რომ სრულად აღდგა. ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო მეტი რეზერვი, გაისად რომ კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს.

— ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 3,2 მილიარდ დოლარს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სატრანსპორტო გადაზიდვები — საავტომობილო, რკინიგზა, რეკორდულია წელს — 25 მილიონი ტონა იქნა გადაზიდული, რაც თითქმის 20%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის თვალსაზრისით, 100%-ით არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და შეადგინა თითქმის მილიარდ შვიდასი მილიონი დოლარი ბოლო ათ თვეში, ჩვენ თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ 2021 წელს, როგორც გითხარით, 100%-ით არის მატება. 2019 წელთან შედარებით, ეს არის 72%-იანი მატება, აქედან მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 47%-ია.

სიღარიბე და უმუშევრობა, ბუნებრივია, ჩვენი მთავარი გამოწვევაა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მთავრობისთვის. ჩვენი გაცხადებული პოლიტიკაა, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში შევძლოთ სიღარიბის დამარცხება და უმუშევრობის შემცირება. მესამე კვარტალი ამ კუთხითაც გამოირჩეოდა. უმუშევრობის დონემ ისტორიულ მინიმუმს მიაღწია — 15,6% შეადგინა უმუშევრობის დონემ. ასევე, მინდა გითხრათ, რომ 2 წელიწადში — 2021 წლის მეორე კვარტლიდან 2022 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით, შეიქმნა 229 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. 229.000 ადამიანი დასაქმდა ამ ბოლო 2 წელიწადში. აქედან არასახელმწიფო სექტორში 209 ათასი ადამიანია დასაქმებული. ასევე, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ საზოგადოებრივი სამუშაოების დასაქმების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმებას. 30.000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი დასაქმებული არის ბოლო 6-7 თვეში. რესურსი არის ძალიან დიდი. მოგეხსენებათ, რომ 200.000 ადამიანი არის სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი და ჩვენი ამოცანა არის ის, რომ ყველა ეს ადამიანი დავასაქმოთ როგორც კერძო სექტორში, ასევე, საჯარო სექტორში.

ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ენერგეტიკის განვითარებაა.

— ენერგეტიკა ერთ-ერთი მთავარი დარგია, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა განვავითაროთ და მეტი ძალისხმევა ჩავდოთ ამ მიმართულებით, მეტი ინვესტიციები მოვიზიდოთ. ბოლო 5 წელი თითქმის გაჩერებული იყო ინვესტიციები ამ სფეროში, ამ დარგში.

ჯამში ჩვენ 1.500 მეგავატზე გამოვაცხადებთ ტენდერს და ამის შემდეგ, ამას გარდა, 800 მეგავატი, რომელიც უკვე გაფორმებული იყო და მათზე იყო გაცემული ე.წ. PPA, ანუ გარანტირებული შესყიდვის შეთანხმებები, ეს 800 მეგავატიც გაეშვება.

ჯამში, მინიმუმ 2-3 წელიწადში, 2300 მეგავატამდე, დაახლოებით, სიმძლავრის ჰესებზე არის საუბარი. ეს არის დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. აქ შედის როგორც ჰიდრო, ასევე მზის, ქარის ენერგიები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობისთვის. მე მინდა კიდევ ერთხელ ჩვენს საზოგადოებას განვუმარტო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკის განვითარებას ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის, ენერგოდამოუკიდებლობისთვის. მით უმეტეს, ჩვენ ახლა ვუყურებთ, რა ხდება ევროპაში — ენერგოკრიზისი, ფასების მატება. საშუალო ფასი ერთ კვტ/სთ ელექტროენერგიის შეადგენს 20 ცენტს ევროპის ქვეყნებში. გერმანიაში 80 ცენტიც კი დაფიქსირდა ზაფხულის თვეში, ზოგან 50-60 და საშუალო არის 20 ცენტი.

ჩვენთან არის ძალიან იაფი ელექტროენერგიის ფასი, ამიტომ გვჭირდება, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა გავიმეორო, აღვნიშნო, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევის მიმართვა. მოგეხსენებათ, რამდენიმე კვირის წინ მე ვიმყოფებოდი ბუქარესტში, სადაც ჩვენ ისტორიულ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი. ეს არის თავიდან ბოლომდე ქართული ინიციატივა, ჩვენ მიერ მიტანილი ინიციატივა ევროკავშირში, ჩვენს პარტნიორებთან, ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან, რუმინეთთან. ჩვენ რუმინეთთან ერთად დავიწყეთ ამ პროექტის განხორციელება, რომელსაც შეუერთდა აზერბაიჯანი, უნგრეთი და სრული მხარდაჭერა აქვს ამ პროექტს ევროკავშირის მხრიდან.

ეს, შეიძლება ითქვას, მეორე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გარანტირებული რეალიზაციის საშუალება ელექტროენერგიის.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია, რომ საქართველოს ჰქონდეს შესაბამისი გამომუშავება ელექტროენერგიის, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერი ანაკლიის პორტის თემასაც შეეხო. მისი განცხადებით, პორტის 51% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რუსეთს მარაგი ელევა“

## „რუსეთის არმიის განადგურება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა კრემლში ხელისუფლების შესაცვლელად“

მარიამ მჭედლიშვილი



**რუსეთის აგრესიას უკრაინაში და სხვა საკითხებს აფასებს რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ალფრედ კოხი. 2015 წლიდან ეთნიკურად გერმანელი კოხი გერმანიაში ცხოვრობს. მას რადიო „თავისუფლების“ რუსული სამსახური ესაუბრა**

***– პუტინი ომს გამოფიტვამდე აწარმოებს. რა შეუძლია მოიმოქმედოს დასავლეთმა? ნატომ? უკრაინა აკეთებს ყველაფერს, რისი შესაძლებლობაც აქვს.***

– დასავლეთიც არ იშურებს ძალისხმევას, რათა უკრაინამ ომი არ წააგოს.

***– ომი გამოფიტვამდე მოითხოვს რესურსებს. მზად არიან გერმანელები ამის მოსათმენად?***

– ევროპაში გერმანელები ითმენენ ყველაზე მეტს. მათი დანაკარგი რუსეთის გაზისაგან უარის შედეგად – ეს ყველაზე ფუნდამენტურია. ყველა გერმანელის მაგივრად ვერ გიპასუხებთ, მაგრამ არსებული სოციოლოგია, პოლიტიკური გარემო ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ვხედავ, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს იმის გამო, რომ უკრაინას ნაკლებად ეხმარება. ეს მარწმუნებს, რომ გერმანელები მზად არიან, კიდევ დიდხანს მოითმინონ უკრაინის რუსეთზე გამარჯვებისათვის.

***– ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რა სახის იარაღს მიაწვდიან და აწვდიან უკრაინას.***

– ამაში ვერ ვერკვევი. ვიცი ის, რომ გერმანელების მიერ გადაცემული საჰაერო თავდაცვის საშუალებები კარგად მუშაობს. უკრაინას მიეწოდება სხვა იარაღიც. გარდა ამისა, გერმანია გასცემს სხვა სახის დახმარებას – პირდაპირ ფინანსურ დახმარებას, მედიკამენტებს და სხვა. გერმანელებმა შეიფარეს მილიონი უკრაინელი დევნილი.

***– ჩვენ ერთი წლის წინაც ვისაუბრეთ. ომი არც ერთს არ გვიხსენებია. დღეს ომი მიმდინარეობს. ელოდით, რომ ასეთი რამ მოხდებოდა? თუ პუტინის პრაგმატიზმისა გჯეროდათ?***

– რასაკვირველია, მისგან ასეთ სისულელეს არ მოველოდი. არ ვიცოდი, რომ სიტუაციის მისი შეფასება ასე დრამატულადაა დაშორებული რეალობას. რუსეთმა დაუშვა ორი შეცდომა. პირველ რიგში, არასათანადოდ შეფასდა უკრაინის შეიარაღებული ძალები. ეს მისი დაზვერვის შეცდომაა. ასევე ფუნდამენტურად გაზვიადდა საკუთარი არმია. გენერლები პუტინს თვალში ნაცარს აყრიდნენ და ზღაპრებს უყვებოდნენ არმიის ძლევამოსილებაზე, რაც სიცრუე გამოდგა.

***– რუსმა ხალხმა გაგაკვირვათ?***

– ის ხალხი, რომელსაც მივეჩვიეთ რუსული ლიტერატურიდან, დიდი ხანია, აღარ არსებობს.. ყველაფერი, რაც ამ ხალხში კარგი იყო, განადგურებული და სადღაც მიმწყვდეულია. ამ ხალხს გაუქრა ემპათია, მოწყალება, თანაგრძნობა. როცა ბესლანში მაშინდელი მოვლენები დატრიალდა, რომში ლამის მილიონი კაცი გამოვიდა ქუჩაში. რუსეთში არავინ გამოსულა.

***– რა თანხა შეიძლება დაუჯდეს რუსეთს ომი უკრაინაში? ვოლოდიმირ ზელენსკიმ დაასახელა ტრილიონი დოლარი.***

– ზელენსკის აზრით, ეს უკრაინისათვის მიყენებული ზარალია. ვერ გეტყვით, რა ღირს ომი, რამდენია ზარალი. შემიძლია ვთქვა ჩეჩნეთის ომის დანახარჯებზე. მთლიანობაში ეს ძნელი შესაფასებელია, ვინაიდან რესურსების დიდ ნაწილს არმია მარაგებიდან იღებდა. მიმდინარე ხარჯები (ხელფასები, გადაადგილება) წელიწადში ჯდებოდა 5-6 მილიარდი. ვფიქრობ, რომ ახლა მარაგები შემოაკლდათ. საჭიროა წარმოება. ახლანდელ ომში ჩართულია 5-10-ჯერ მეტი ხალხი, ვიდრე იყო ჩეჩნეთის ომში. თუ იმ ომში მარტო მიმდინარე ხარჯებისათვის აუცილებელი იყო წელიწადში 5 მილიარდი, ამჟამად მინიმუმ 50 მილიარდი სჭირდებათ. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა საწყობები არც ისეთი სავსეა, როგორიც 90-იან წლებში იყო, ეს ციფრი ადის 100 და 150 მილიარდამდე.

> „გერმანელები მზად არიან, კიდევ დიდხანს მოითმინონ პრობლემები უკრაინის რუსეთზე გამარჯვებისათვის“

***– რომელ ფორმატში უნდა გაფორმდეს მარცხი? ეს უნდა იყოს რუსეთის არმიის ცოცხალი ძალის მთლიანად განადგურება თუ სრული მარცხი ჯარების გამოყვანით და ზავით უკრაინისა და კოლექტიური დასავლეთის პირობებზე?***

– თუ მეორე შესაძლებელია პირველის გარეშე, მე მეორეს მომხრე ვარ. ვშიშობ, რომ მეორე პირველის გარეშე არ მოხდება. სრული მარცხი არმიის მთლიანად განადგურების გარეშე შეუძლებელია.

***– არის შანსი, რომ კრემლში ხელისუფლება შეიცვლება?***

– არმიის განადგურება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა კრემლში ხელისუფლების შესაცვლელად. ისტორიამ იცის მაგალითები, როცა დამარცხების შემდეგ დიქტატორები ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას.

***– პუტინი სამხედრო მოსამსახურეების დედებს შეხვდა. მან პირობითად უთხრა ერთ მათგანს: შეიძლებოდა შენი შვილი მომკვდარიყო, როგორც ლოთი ან დაღუპულიყო ავტოავარიაში. აქ ის, ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა. ის მართლა ასე ფიქრობს თუ ეს ნიღაბია?***

– ეს ერთადერთია, რისი თქმაც დარჩენია. მან თავი ჩიხში მოიმწყვდია. პუტინს არ შეუძლია იმის ფორმულირება, თუ რისთვის იბრძვიან ეს ადამიანები.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „აფხაზეთი შეიძლება გახდეს მეორე მონაკო, ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– რამდენიმე კვირის წინ მე დავაანონსე, რომ ანაკლიის პორტი ჩვენი გადაწყვეტილებით, მთავრობის გადაწყვეტილებით აშენდება, სახელმწიფო უნდა იყოს მესაკუთრე აღნიშნული სტრატეგიული ობიექტის, ანაკლიის პორტის 51% იქნება სახელმწიფოს კუთვნილება. ფოთის პორტი არის გასხვისებული, ბათუმის პორტი არის გასხვისებული, ჩვენ არავითარი ბერკეტი არ გვაქვს, რომ გარკვეული რეგულაციები მოვახდინოთ ტარიფებთან მიმართებაში თუ სხვა. ამიტომ, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა რომ მთელი ქვეყნები, განსაკუთრებით, ცენტრალური აზიის ქვეყნები თანხმდებიან, რომ აუცილებელია დივერსიფიკაცია და ახალი მარშრუტების დამუშავება, ჩვენს კორიდორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება არის მიმართული ჩვენი კორიდორის მიმართ.

ამიტომ აუცილებელი არის, რომ იყოს გამართული პორტები, ინფრასტრუქტურა, რკინიგზა და სწორედ ამ მიმართულებით ჩვენ განსაკუთრებულ ძალისხმევას მივმართავთ და განსაკუთრებულ ინვესტიციებს ჩავდებთ. დანარჩენ 49%-ზე ჩვენ გვინდა, რომ გამოვაცხადოთ საერთაშორისო ტენდერი, ბევრი კომპანია გამოხატავს ინტერესს და უახლოეს რამდენიმე თვეში გაირკვევა შესაბამისი შედეგიც.

პრემიერი აცხადებს, რომ დროა აფხაზეთში ინვესტიციები განხორციელდეს

– მოგეხსენებათ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტი სულ რაღაც რამდენიმე ასეულ, თუ არ ვცდები 200 მილიონ დოლარს შეადგენს, აქედან სრულად არის დოტაციაზე მათი ეს ბიუჯეტი და მინდა ვთქვა შემდეგი, რომ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის და დებისთვის ეს არის გაშვებული შესაძლებლობა. ჩვენი ქვეყნის გაერთიანების შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია პირველ სამ წელიწადში დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განვახორციელოთ აფხაზეთში და ასევე სამაჩაბლოში. ძალიან მარტივად შეიძლება ამის ორგანიზება, ჩვენ ეს გააზრებული გვაქვს, ამის თაობაზე ჩვენ გვქონდა ეკონომიკურ საბჭოზე მსჯელობა.



აფხაზეთი შეიძლება გახდეს მეორე მონაკო, ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. აქვს უზარმაზარი პოტენციალი აფხაზეთს, რომ გახდეს მეორე მონაკო და სოხუმი მეორე მონტე კარლო, შეიძლება ასე ითქვას. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანი, ჩვენ გვინდა ამდენი ომებით მიღებული ჭრილობები, რომ იტყვიან, მოვიშუშოთ. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პოლიტიკა არ გადაიხედება, ჩვენ გვინდა მხოლოდ მშვიდობიანი გზით აღნიშნული კონფლიქტის, ამ საშინელი ტრაგედიის დასრულება და შერიგება იმისთვის, რომ ყველამ ერთად ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ საქართველოში, ევროპულ საქართველოში.

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, მკაცრდება ონლაინ სათამაშო ბიზნესის რეგულაციები – 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის და დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილი პირებისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი პირებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის აიკრძალა ონლაინ აზარტული თამაშები. აკრძალულ პირთა სიაში შეტანილია თითქმის მილიონ ხუთასი ათასი პირი.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, მომავალ წელს 20 ათასი სოციალურად დაუცველი ადამიანი დასაქმდება, გაიზრდება პენსია, გაორმაგდება დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, გაიზრდება სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება.

– მომავალ წელს პენსია საგრძნობლად გაიზრდება და გახდება 365 ლარი, ასევე მაღალმთიან რეგიონებში 440 ლარამდე დაახლოებით. ასევე, ჩვენ მაქსიმალურად, შეძლებისდაგვარად გავზარდეთ სოციალურად დაუცველ ბავშვთა ყოველთვიური დახმარება. შედარებისთვის, 2012 წელს ეს დახმარება იყო ნული, არავითარი დახმარება არ მიეცემოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ჩვენ ეს დახმარება დავიწყეთ ჯერ 50 ლარით რამდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდები, ორი წლის წინ, შემდეგ გახდა შარშან, 100 ლარი, წელს 150 ლარი და შემდეგ წელს იქნება 200 ლარი. თითოეულ ბავშვზე ჩვენ გავცემთ 200 ლარს და ეს პროექტი ბიუჯეტს 465 მილიონი ლარი დაუჯდება. ჯამში, 232.000 ბავშვი მიიღებს ამ ყოველთვიურ, 200-ლარიან დახმარებას და თითქმის ნახევარ მილიარდამდე არის ამ პროგრამის ბიუჯეტი.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ზოგადად, დემოგრაფიული საკითხები არის პრობლემატური და საჭიროებს უფრო კომპლექსურ მიდგომას. ჩვენ ვგეგმავთ, რომ 2023 წლიდან ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე გავცეთ ერთჯერადი დახმარება, 1000 ლარის ოდენობით. აქვე, საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა, ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე მსჯელობა, ყველაზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახი არის სოციალურად დაუცველი ოჯახი. ყოველი მესამე, მეოთხე და შემდგომი ბავშვი სოციალურად დაუცველ ოჯახებში იბადებიან, ამიტომ, ჩვენი ვალია, რომ კიდევ უფრო მეტი დახმარება მივმართოთ ამ მიმართულებით.

რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება, დეკრეტული შვებულების თანხა 1000 ლარის ნაცვლად გახდა 2000 ლარი. მე ამაზე არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მეტი ჩართულობა. ეს არის მნიშვნელოვანი, ეს არის ეროვნული საკითხი. ამიტომ დემოგრაფიულ საკითხებს სჭირდება კომპლექსური მიდგომა და საზოგადოების გაერთიანება.

პრემიერის განცხადებით, 13 ათას დევნილ ოჯახს ბინებს აუშენებენ.

– ჩვენ 13.000 ოჯახს ავუშენებთ ბინებს, ეს არის 900 მილიონი ლარის პროექტი, მომდევნო ორ-სამ წელიწადში დასრულდება აღნიშნული პროექტი და 13.000 ოჯახს გადაეცემა ბინები. სულ, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, 29.000-ზე მეტ დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართები, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



## რას ეძებდნენ გამომძიებლები მიხეილ სააკაშვილის პალატაში

ჩხრეკა მიხეილ სააკაშვილის პალატაში – გიული ალასანიას თქმით, შესაძლოა გამომძიებლები მესამე პრეზიდენტის პალატაში მძიმე მეტალებს ეძებდნენ.

ამის შესახებ სააკაშვილის დედამ „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში განაცხადა.

ალბათ მძიმე მეტალებს ეძებდნენ, ჩემს შვილს არაფერი უთქვამს ამასთან დაკავშირებით.

– რაც შეეხება მიშას მდგომარეობას, გამოიყურება ცუდად, მისი ჯანმრთელობის შესაბამისად. გადაუდებელ დახმარებას მოითხოვს, – ამბობს გიული ალასანია.

„ვივა-მედში“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის პალატაში ჩხრეკა ჩატარდა – ამოღებულია ნივთები, რომლებიც პენიტენციურმა დალუქა.

განცხადება ამის შესახებ სააკაშვილის თანაგუნდელმა, ეკა ხერხეულიძემ განაცხადა.

## პუტინი საზღვარგარეთ ნავთობის მიწოდებას კრძალავს



რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ნავთობის ფასის ზღვრის შემოღების საპასუხო განკარგულებას ხელი მოაწერა.

რუსული მედიის ინფორმაციით, დოკუმენტი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საზღვარგარეთ მიწოდებას კრძალავს, თუ ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად არის მითითებული ღირებულების მაქსიმალური ლიმიტი.

გარდა ამისა, ასეთი მიწოდება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პრეზიდენტის ნებართვის საფუძველზე.

ხოლო ნავთობპროდუქტების მიწოდების აკრძალვის თარიღს რუსეთი დაადგენს.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება, რუსული ნავთობის ფასის ლიმიტის დაწესების შესახებ, 5 დეკემბრიდან შევიდა ძალაში.

ასევე, რუსეთში წარმოებული ან ექსპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ლიმიტის ფასი ბარელზე 60 დოლარია.

# შალვა ხაჭაპურიძე პენიტენციური სამსახურისგან განმარტებებს ითხოვს, რატომ აეკრძალა მიხეილ სააკაშვილს წერილების გაგზავნა



ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს წერილების გაგზავნა აეკრძალა.

ადვოკატის თქმით, მან პენიტენციურ სამსახურს მიმართა და უწყებისგან აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებებს ითხოვს.

ამასთან, ადვოკატმა ისაუბრა სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით სააკაშვილის სასამართლო პროცესზე.

– ჩვენ გვინდა, რომ ამერიკელი ექსპერტები მოვილიოთ, იქნებ ახალ წლამდე ეს მოესწროს, სასამართლომ გაიზიაროს ჩვენი თხოვნა იმიტომ, რომ დანარჩენ ექსპერტებთან მიმართებაში, არის ქალბატონი მარიამ ჯიშკარიანი და კიდევ რამდენიმე, რომელიც აუცილებლად უნდა დაიკითხოს, მათ შორის ინგლისელი ექსპერტი. დანარჩენი, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვაქვეყნოთ კიდეც ეს ჩვენებები. ამიტომ ზეგ გვექნება სასამართლოსთვის თხოვნა, რომ იქნებ ახალ წლამდე 2 პროცესი მაინც ჩაინიშნოს. ახალი წლის მერე კიდევ 2-3 პროცესი და ამით დამთავრდეს ეს.

მე გუშინ წერილი გავაგზავნე პენიტენციურ სამსახურში შეკითხვით, რომ ფაქტი ერთი, რომ შაბათ-კვირას ადვოკატები არ შეუშვეს, რაც ამდენი ხანს არ ყოფილა და წერილების გამოტანა. ეს წერილები არ არის სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი ან რაღაც, ამ ყველაფერს აქვს თავისი წესები, ნორმები. ისიც გაურკვეველია, ამდენი ხანი სატელეფონო საუბრის საშუალება რატომ არ აქვს ამ ადამიანს, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.



# თორნიკე მერებაშვილის გარდაცვალების საქმეზე ომბუდსმენის აპარატი განცხადებას ავრცელებს

სახალხო დამცველი თორნიკე მერებაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და წერს, რომ ომბუდსმენის აპარატის მხრიდან საქმის შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიება არ ჩატარებულა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით, რითაც დაირღვა მოქალაქის სიცოცხლის უფლება.

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

მერებაშვილი 2018 წლის ივლისში ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. საქმეზე პასუხისგებაში მხოლოდ ერთი პირი მიეცა – ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ბრალდებით. სახალხო დამცველის აპარატი წერს, რომ საქმეში არსებობს არაერთი „აუხსნელი და საეჭვო“ გარემოება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა, მერებაშვილის მიმართ სატრანსპორტო შემთხვევამდე განხორციელებული ყოფილიყო სხვა დანაშაულიც, რომელიც ასევე შეიძლება ყოფილიყო მოქალაქის გარდაცვალებასთან მიზეზშედეგობრივ კავშირში.

სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ გენერალური პროკურატურა გაატარებს ეფექტიან ღონისძიებებს, რათა ამ ეტაპზე ჯერ კიდევ შესაძლებელი ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება ჩაატაროს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში. ასევე, იმედოვნებს, რომ პროკურატურა იმსჯელებს გამოძიების მწარმოებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორის ქმედებებში სამსახურებრივი გულგრილობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საკითხზე.

საქმის მასალებით დგინდება, რომ თ.მ., სატრანსპორტო შემთხვევამდე, სატელეფონო კომუნიკაციებით ითხოვდა შველას და აცხადებდა, რომ იყო დაჭრილი. ასევე, ცნობილია, რომ გარდაცვალებამდე იგი სხვა პირებთან ერთად სუფრაზე იმყოფებოდა, სადაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ ინციდენტებს ან შესაძლო დანაშაულს. ამის შემდეგ, მას გზაზე მწოლიარე მდგომარეობაში გადაუარა მანქანამ.

2018 წელს დაწყებულ გამოძიებაზე ამ დრომდე არ არის ჩატარებული საკვანძო გარემოებების დასადგენად რელევანტური და აუცილებელი არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. მათ შორის, არ დანიშნულა და არ ჩატარებულა კომპლექსური ტრასოლოგიური და სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა თ.მ.-ს თავზე არსებული დაზიანების მიმართულებისა და დაზიანების მიმყენებელი საგნის დადგენის მიზნით. არ ჩატარებულა არც ქიმიური ექსპერტიზა; მოწმეებისთვის არ დაუსვამთ მნიშვნელოვანი შეკითხვები, არ იყო გამოთხოვილი რელევანტური მობილური ტელეფონებიდან ფოტოსურათები და სხვა ინფორმაცია.



გამოძიებამ არ გამოიკვლია ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელიც გამოავლენდა ან უარყოფდა თ.მ.-ს მიმართ ჩადენილ ყველა შესაძლო დანაშაულსა და პასუხისმგებელ პირ(ებ)ს. შესაბამისად, ამ დრომდე არ არის დადგენილი, თ.მ.-ს დაზიანებები მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების ზემოქმედებით მიადგა, თუ ავარიამდეც იყო დაშავებული.

სამწუხაროდ, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, დღეის მდგომარეობით, შეუძლებელია, რის გამოც, გამოძიების მიმდინარეობისას დაშვებული არაერთი ხარვეზი გამოსწორებადი აღარ არის. მაგალითად, ვეღარ მოხდება შემთხვევის ადგილის დეტალური მახასიათებლების აღწერა, საავტომობილო გზის სიგანისა და მასზე გარდაცვლილის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა. დაუდგენელია, გზის ნაპირებიდან რა მანძილით იქნა აღმოჩენილი დანა და სისხლისმაგვარი და მოთეთრო-მოყავისფრო ბლანტი ნივთიერების ლაქები, სად იყო გაჩერებული ავტომანქანა, რომელმაც გადაუარა თ.მ.-ს, ასფალტის საფარზე აღინიშნებოდა თუ არა დამუხრუჭების შედეგად საბურავების მიერ დატოვებული კვალი და სხვა, – წერია განცხადებაში. 18 წლის თორნიკე მერებაშვილი 2018 წლის 6 ივლისს ხელთუბანი-მეჯვრისხევის საავტომობილო გზაზე მრავლობითი დაზიანებებით იპოვეს, ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. პროკურატურის ვერსიას, რომლის მიხედვითაც, ახალგაზრდა ბიჭს, ავტომანქანამ „შემთხვევით გადაუარა“, არ ენდობა ოჯახი, რომელიც ამტკიცებს, რომ თორნიკე მოკლეს, გამოძიება კი დამნაშავეებს მფარველობს.

# ვაჭრობა ბავშვებით – „აიძულებდა მათხოვრობას და ქურდობას“

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სარგებლის მიღების მიზნით 12 წლის არასრულწლოვანი გადაიბირა და შრომით ექსპლუატაციას უწევდა მას. ბრალდებული მუქარით და ფსიქოლოგიური ზეწოლით დაზარალებულს აიძულებდა თბილისის ქუჩებში მოწყალების მოთხოვნას და სხვადასხვა წვრილმანი ნივთების ქურდობას. აღნიშნულის შედეგად შეგროვებულ თანხას კი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 სეკუნდა მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც სასჯელის სახით 14-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.



# ხობში კაცმა მეზობელი დაჭრა




ხობში კაცმა მეზობელი დაჭრა. 50 წლის დაჭრილ კაცს ცივი იარაღით 5 ჭრილობა აქვს მიყენებული.

არსებული ინფორმაციით, მეზობლებს შორის ურთიერთშელაპარაკება ყოფით ნიადაგზე მოხდა. ეჭვმიტანილი ნასვამ მდგომარეობაში იყო, რა დროსაც ფიზიკური დაპირისპირება დაჭრით დასრულდა.

შსს-მ ეჭვმიტანილი რამდენიმე საათის შემდეგ დააკავა, გამოძიება 19-108 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# კახეთში ავარიას ორი მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა

კახეთში ავარიას ორი ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დაშავდა. შემთხვევა დილით თელავში, რუსთაველის გამზირზე მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც ხუთი მგზავრი იმყოფებოდა, ხეს შეეჯახა.

ძლიერი შეჯახების შედეგად ორი ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ორი დაშავებული კი, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით, თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.




ექიმების განმარტებით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადები.

# ვადაგასული და საკვებად უვარგისი რძის პროდუქტების რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი ამხილეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა პასუხისგებაში მისცა პირები, რომლებიც ვადაგასულ და საკვებად უვარგის რძის პროდუქტებს სასაქონლო იერსახეს უცვლიდნენ და თბილისში არსებულ საცხობებში, ნახევარფაბრიკატების დამამზადებელ საწარმოებსა და სავაჭრო ობიექტებში მის მოტყუებით რეალიზებას ახდენდნენ.



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შემდგომი რეალიზაციისათვის განკუთვნილი, დაახლოებით, ექვსი ტონა ვადაგასული რძის პროდუქტი ამოიღეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხმარებლის მოტყუების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში ორი პირი მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, რძის პროდუქტების მწარმოებელი ერთ-ერთი კომპანიიდან, მიზერულ ფასად ყიდულობდნენ ვადაგასულ და საკვებად უვარგის პროდუქტებს, რომელიც თითქოსდა უნდა გამოეყენებინათ ცხოველთა საკვებად.

ნაცვლად აღნიშნულისა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ბრალდებულები რძის პროდუქტებს უცვლიდნენ სასაქონლო იერსახეს, რის შემდეგაც ვადაგასული, უხარისხო საქონლის რეალიზაცია მოტყუებით ხდებოდა თბილისში არსებულ საცხობებში, ნახევარფაბრიკატების დამამზადებელ საწარმოებსა და სავაჭრო ობიექტებში.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა შემდგომი რეალიზაციისათვის განკუთვნილი დაახლოებით ექვსი ტონა ვადაგასული რძის პროდუქტი.

აღნიშნული დანაშაული ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით.

# უკრაინამ რუსეთის გაეროდან გარიცხვა მოითხოვა

უკრაინამ რუსეთის გაეროდან გარიცხვა მითხოვა. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ.

– რუსეთი ბომბავს ჩვენს ქალაქებს, მიზანმიმართულად ანგრევს ჩვენს ენერგოსისტემას, აწამებს და ხვრეტს უკრაინის მოქალაქეებს, – თქვა კულებამ.

ბატონი მინისტრის აზრით, ასეთ ქვეყანას გაეროში არაფერი ესაქმება.




**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რატომ ფრთხილობს ბაიდენი?!



უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ვიზიტზე ვაშინგტონში მთელი მსოფლიოს მედია წერდა. ექსპერტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ვიზიტმა ტრიუმფით ჩაიარა. ამავე დროს იყო სხვაგვარი შეფასებებიც. ასე, მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ვაცელიუსმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ფურცლებზე ფრიად საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. ვაცელიუსმა დაწვრილებით გააანალიზა როგორც ზელენსკის, ისე ბაიდენის გამოთქმები და ქცევა. ჟურნალისტმა ყურადღება მიაქცია, რომ ზელენსკიმ თავის გამოსვლაში 11-ჯერ იხმარა სიტყვები, რუსეთზე აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთო; ბაიდენმა კი არც ერთხელ. აქედან გამომდინარე ვაცელიუსმა შემდეგი დასკვნა გააკეთა:

– ბაიდენი და ზელენსკი უკრაინის მომავალს სხვადასხვანაირად ხედავენ!

რუსულმა მედიამ ეს სიტყვები უმალ აიტაცა. ცნობილმა ოდიოზურმა ჟურნალისტმა სოლოვიოვმა განაცხადა, რომ აშშ-ისა და უკრაინის ინტერესები განსხვავდება, შესაბამისად, ვაშინგტონი კიევს ისევე ზურგს შეაქცევს, როგორც თავის დროზე ავღანეთს ან საიგონს შეაქცია.

სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი ბაიდენის გამოთქმებს და საქციელს დაწვრილებით აანალიზებს. შვეცი ფრიად საგულისხმო დასკვნებს აკეთებს: არჩევნების შემდეგ აშშ-ში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, კონგრესი რესპუბლიკელების ხელში აღმოჩნდა; აქედან გარკვეული ნაწილი ე.წ. ტრამპისტია; ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ უკრაინა ჩვენი პრობლემა არაა, ჩვენ აშშ-ის უმთავრეს მოწინააღმდეგეს – ჩინეთს უნდა მივხედოთო. მართალია, „ტრამპისტები“ თვით რესპუბლიკურ პარტიაშიც უმცირესობას შეადგენენ, მაგრამ მათი იგნორირება არ შეიძლება. თავად ტრამპი კი უკვე მთელი ხმით გაჰკივის:

– უკრაინისადმი დახმარებით ბაიდენი აშშ-ს მესამე მსოფლიო ომში ითრევს!

ყოველივე აიძულებს ბაიდენს, სიფრთხილე გამოიჩინოს და მოწინააღმდეგენი ზედმეტად არ გააღიზიანოს. ბაიდენიც მკვეთრ გამოთქმებს მოერიდა, რათა „ტრამპისტები“ ზედმეტად არ გაეღიზიანებინა. ამავე დროს აშშ-ის პრეზიდენტმა მოკლედ და გარკვევით განაცხადა:

– აშშ უკრაინის გვერდით მანამ იდგება, სანამ ეს საჭირო იქნება!

ბაიდენმა უკრაინას მართლაც უპრეცედენტო დახმარება გაუწია. მან კიევს 45 მილიარდი დოლარი გამოუყო. უკრაინას გადასცეს თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, მათ შორის, „პეტრიოტის“ ტიპის რაკეტები.

აშშ უკრაინის მომავალს ისევე ხედავს, როგორც ზელენსკი: უკრაინამ რუსეთთან ომში უნდა გაიმარჯვოს. ბაიდენი ამას ხმამაღლა არ აცხადებს, მაგრამ უკრაინის გამარჯვებისათვის ყველაფერს აკეთებს. შედეგიც სახეზეა: დღეს უკრაინას უკვე ჰყავს თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული არმია; რუსი ოკუპანტები განდევნეს კიევსჩინიდან, ხარკოვსჩინიდან, ხერსონიდან; დაიწყო ლუგანსჩინის გათავისუფლება. ბრძოლის ველზე უკვე 100.0000-ზე მეტი ოკუპანტია განადგურებული.

ომი გრძელდება. უკრაინასაც აშშ-ის სახით ძლიერი და საიმედო მოკავშირე ჰყავს.

# იგორ იოვიჩევიჩი: „გოჩოლეიშვილმა კონკურენციას უნდა გაუძლოს“



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის ფეხბურთელი გიორგი გოჩოლეიშვილი დონეცკის შახტარს 1 იანვრიდან შეუერთდება. საბურთალოს მარჯვენა მცველმა უკრაინულ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შახტარის მთავარმა მწვრთნელმა იგორ იოვიჩევიჩმა ქართველ ახალწვეულზე უკრაინულ მედიასთან ისაუბრა.

**იგორ იოვიჩევიჩი:**

– როდესაც მისი მახასიათებლები ვნახეთ, მივხვდით, რომ ჩვენთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. სწრაფი, ამტანი და აგრესიულია, ზუსტია დამაგვირგვინებელ ფაზაში, დარტყმა როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფეხით შეუძლია და გოლებსაც იტანს. თუმცა, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

გოჩოლეიშვილს უკეთეს ლიგაში გადასვლით პროგრესის შესაძლებლობა ექნება. მთავარია, როგორ გაუმკლავდება კონკურენციას. ჯერჯერობით, ვერც იმას ვიტყვით, რომ მისი მოსვლით გავძლიერდით.

გეტყვით, რომ შახტარს უახლოესი მატჩი თებერვალში აქვს – ევროპა ლიგის ფლეი ოფში, ფრანგულ რენთან. უკრაინის ჩემპიონატი კი, 4 მარტს განახლდება. 15 ტურის შემდეგ შახტარი 30 ქულით მეორე ადგილზეა, მაგრამ 13 მატჩი აქვს ჩატარებული. პირველზე დნიპროა – 14 მატჩი, 35 ქულა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# პუტინი ბაიდენს ახალ წელს არ მიულოცავს

რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს ახალ წელს არ მიულოცავს. ამის თაობაზე პუტინის თანაშემწე პესკოვი იუწყება.

– აშშ რუსეთისადმი მტრულ პოლიტიკას ეწევა და ამ საკითხში უკვე ძალიან შორს შეტოპა, – აცხადებს პესკოვი.

# ტრამპი მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში



აშშ-ის ექსპრეზიდენტი ტრამპი პრეზიდენტობისათვის ბრძოლას აპირებს. ამის თაობაზე მან თავად განაცხადა:

– 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ და გავიმარჯვებ, – აცხადებს ტრამპი.

აშშ-ის ექსპრეზიდენტი თვლის, რომ მისი კვლავ გაპრეზიდენტება ქვეყანას წაადგება.

# ქალმა ქმარი წმინდა ვალენტინის დღეს მოკლა



ამერიკის პენსილვანიის შტატის მცხოვრები ქალი მეუღლის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს. დანაშაული მან წმინდა ვალენტინის დღეს ჩაიდინა.

2021 წლის 14 თებერვალს, საღამოს 30 წლის დანიელ ბიულიმ 27 წლის მიტჩელ ბიული დასახლება სტრასბურგში მდებარე ბანკის განყოფილებაში შეიტყუა და ჩაცხრილა. თვითმხილველის თქმით, მან ბანკის გვერდით ქალი და მამაკაცი შენიშნა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ გასროლის ხმა გაიგონა, რომელსაც შემდეგ კიდევ ხუთი გასროლა მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მიტჩელ ბიულის ცხედარი აღმოაჩინეს.

ქალის დაცვა დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მან მკვლელობა იძულებითი თავდაცვის მიზნით ჩაიდინა, თუმცა გამოძიებამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ეს განზრახ მკვლელობა იყო. ქალმა წინასწარ ითხოვა პისტოლეტი ნაცნობისგან, ხოლო მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე, მას საკუთარი ფოტოსურათი გაუგზავნა იარაღით გადაღებული. გარდა ამისა, სასამართლომ დააფიქსირა, რომ ქალს ჩადენილი საქციელი არ მოუნანიებია.

გარდა ამ ყველაფრისა, დამნაშავე ქალმა უარი განაცხადა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ნებაყოფლობით ჩაბარებოდა და ისინი იძულებული გახდნენ, საქმეში სწრაფი რეაგირების ჯგუფი ჩაერთოთ.

ამ დროისთვის დანიელ ბიული ციხეში იმყოფება, მას საბოლოო განაჩენს უახლოეს ხანში გამოუტანენ. პირველი ხარისხის მკვლელობისთვის ქალს სიკვდილით დასჯა ემუქრება.

# რუსები შეტევისთვის ემზადებიან



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკრაინელებმა განახორციელეს წარმატებული შეტევები სვატოვო-კრემენნოეს მიმართულებით (ლუგანსჩინა). შეიქმნა რეალური შანსი იმისა, რომ როგორც სვატოვი, ისე კრემენნოე უკრაინელთა ხელში გადასულიყო. პუტინიც იძულებული გახდა, აქ დამატებითი ძალები გადაესროლა.

– სვატოვო-კრემენნოეს მიდამოებში გააფთრებული ბრძოლებია, – იტყობინება ტელე კომპანია „პრიამიი“.

საინტერესო ვითარება შეიქმნა ბახმუტთან, ავდეევკასთან, სოლედართან, უგლედართან. აქ უკრაინელებმა წარმატებული კონტრშეტევები განახორციელეს. მათ განდევნეს ოკუპანტები როგორც ბახმუტის, ისე სოლედარის და უგლედარის მახლობელი სოფლებიდან. პასუხად პუტინმა აქ ახალი ძალები გადაისროლა.

უკრაინის სამხრეთშიც სასტიკი ბრძოლებია. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, რუსი ოკუპანტები შეეცადნენ ხერსონთან დესანტის გადასხმას. ეს მარცხით დასრულდა. უკრაინელებმა დესანტი გაანადგურეს. პასუხად ოკუპანტებმა ხერსონს ქვემეხები დაუშინეს.

უკრაინელი ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის ცნობით, ქვეყნის სამხრეთში რუსი ოკუპანტები ძირითადად თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებენ. ხანდახან ხერსონს ქვემეხებს უშენენ ან კონტრშეტევაზე გადასვლას ცდილობენ. მტერს ძალები აშკარად არ ჰყოფნის. უკრაინის სამხრეთშიც ვერავითარი ფართომასშტაბიანი შეტევა ვერ გამოსდით და უახლოეს ხანებში ალბათ არც გამოუვათ.

# იშვიათი სახეობის ნიანგმა შტეფსელი გაკვნიტა და დენის დარტყმამ იმსხვერპლა

ამერიკის კოლუმბიის ოლქის ქალაქ ვაშინგტონის ეროვნულ ზოოპარკში ვოლიერში დაღუპული ნახეს იშვიათი სახეობის კუბური ნიანგი.

რეპტილია ბიოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც იშვიათი სახეობების გადარჩენაზე მუშაობს, 2012 წელს გამოიჩეკა. მან ზოოპარკში ათი წელი იცხოვრა. ცხოველი ელექტრომოწყობილობამ მას შემდეგ დააინტერესა, როდესაც მის ვოლიერში შტეფსელი შეცვალეს. ის მის გაკვნეტას შეეცადა და შედეგად დენის დარტყმისგან დაიღუპა.

– ახალი შტეფსელი მიწიდან ერთ მეტრზე მაღლა მდებარეობდა, ადრინდელზე უფრო მაღლა. თავისი აგრესიულობით გამორჩეულმა ცხოველმა ელექტროგაყვანილობა მოგლიჯა და გაკვნიტა, – განმარტეს ზოოპარკში.

აღსანიშნავია, რომ ამ ვოლიერში ნიანგმა რამდენიმე წელი იცხოვრა, ყოველგვარი შემთხვევის გარეშე. ზოოპარკის ხელმძღვანელობამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. თანახმად ტელეკომპანია „აპოსტროფ ტივის“ ცნობისა, უკრაინულმა ავიაციამ განახორციელა დარტყმები ოკუპანტების თავშეყრის რაიონებში. რუსების რიგებში დიდი დანაკარგებია. პარალელურად განხორციელდა წარმატებული ოპერაციები დონეცკში, ლუგანსკის და ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში. რუსების დანაკარგები შემდეგია:

ტანკები – 3.016; არტილერია – 1.996; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 212, თვითმფრინავები – 283, ფრთოსანი რაკეტები – 653. განადგურებულია – 103.600 ოკუპანტი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# სპილოებმა პიკნიკზე მყოფი მამაკაცი მოკლეს

ინდოეთში გარეული სპილოების ჯოგმა ფეხებით გასრისეს მამაკაცი, რომელიც მეგობრებთან ერთად პიკნიკზე იმყოფებოდა.

აღნიშნული თავდასხმა ასამის შტატში მდებარე დასვენებისთვის პოპულარულ ადგილზე ამოსის ნაკრძალში მოხდა. სოფელ ნამგაონის მცხოვრები ნიპულ ბორდოლოი რამდენიმე ახლობელთან ერთად ადგილზე 26 დეკემბერს ჩავიდა პიკნიკის მოსაწყობად.

გარკვეული დროის შემდეგ, მახლობელ გორაკზე სპილოების ჯოგი გამოჩნდა. ცხოველები, რომლებიც, სავარაუდოდ, საკვებს ეძებდნენ, მაშინვე ადამიანებისკენ გაემართნენ და თავს დაესხნენ. ნიპულის მეგობრებმა გაქცევა და თავის შველა მოახერხეს, ხოლო თავად ის სპილოებმა ადგილზევე გასრისეს.

გამოძახების შემდეგ ადგილზე მისულმა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს და ის მის ნათესავებს გადასცეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# რატი წითელაძის ფილმის პრემიერა ჰოლანდიაში გაიმართა



„ბო“ – ასე ჰქვია ახალ ფილმს, რომელშიც მსახიობმა რატი წითელაძემ მიიღო მონაწილეობა.

ფილმის პრემიერა ჰოლანდიაში საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა.

– ულამაზესი ქართული ბუნების ფონზე მუშაობა ჰოლანდიურ და ქართულ გუნდთან ერთად, იყო უდიდესი სიამოვნება. ჩვენი ფილმის მსოფლიო პრემიერა პრესტიჟულ ჰოლანდიტის კინოფესტივალზე შედგა. მოხარული ვარ, რომ ფილმმა, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ვასრულებ, ჰოლანდიის კინოფესტივალი დახურა.

# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ზუმბა და მიშა ანდღულაძე ამერიკაში კონცერტს გამართავენ






მომღერალი ზუმბა და იუმორისტი მიშა ანდღულაძე ამერიკაში ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

14 იანვარს ხელოვანები 2023 წლის საახალწლო წვეულებას გამართავენ და მიწვეულ სტუმრებს განსაკუთრებულ საკონცერტო პროგრამას შესთავაზებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# გიორგი მიქაუტაძე: „როდესაც საქართველოს ნაკრებში მიძახებენ, ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ“

**ფრანგული ლიგა 2-ის ვებგვერდმა მეცის ქართველ ფორვარდ გიორგი მიქაუტაძესთან ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა.**

**აი, რას წერს ვებგვერდი:**

– 14 მატჩის შემდეგ მის აქტივში 7 გოლი და 3 საგოლე პასია. მეცის 22 წლის ქართველი თავდამსხმელი ლიგა 2-ის სეზონის პირველი ნაწილის ერთ-ერთი აღმოჩენაა.

**გიორგი მიქაუტაძე:**

– 2017 წლიდან მეცში ვარ და ძალიან მიხარია, რომ ეს შანსი მომეცა. როცა გუნდში მივედი, ჩემი მიზანიც ეს იყო. ბედნიერი ვარ, რომ ამ მიზანს უკვე მივაღწიე, მაგრამ ამ გზით უნდა გავაგრძელო. კარგია, როცა კლუბი გენდობა, საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ. ვერ ვიტყვი, რომ წინა წლებში გუნდს ჩემი იმედი არ ჰქონდა, მათ კარგად იცოდნენ ჩემი მონაცემები, მაგრამ შანსი ბოლომდე არ მომეცა. არ ვიცი, რატომ მოხდა ეს, მაგრამ ახლა ყველაფერი გამოსწორდა და ბედნიერი ვარ...

ფეხბურთის თამაში ეზოში დავიწყე. მამაჩემი ახლაც მახსენებს, რომ ბავშვობაში სულ ბურთით მხედავდნენ. უკვე 6 წლისა ჟერლანში ვიყავი, სადაც ერთი სეზონი გავატარე, შემდეგ კი, ლიონის აკადემიას შევუერთდი, სადაც 14 წლის ასაკამდე ვითამაშე. 7 სეზონის მიუხედავად, არ დამტოვეს და სან-პრისტში გადავედი.

ლიონისთვის, ვფიქრობ, მზად ფიზიკურად არ ვიყავი. ტექნიკა არ მაკლდა, კართან სახიფათოდ ვთამაშობდი, მაგრამ სიმაღლეში სულ 140 სანტიმეტრი ვიყავი. 14 წლის ასაკში ფიზიკურად ჩამოყალიბებული არ ვიყავი. სხვებთან შედარებით სიმაღლე მაკლდა და სხვაობა ხშირად 30 სანტიმეტრს შეადგენდა. თან ისინი მეტად ათლეტურებიც იყვნენ. მოკლედ, ეს იყო მთავარი პრობლემა.

ლიონმა ჩემი გაშვება რომ გადაწყვიტა, ახლაც კარგად მახსოვს. ყველაფერი მეზიზღებოდა, ჩემი ქალაქის გუნდმა უარმყო. როცა ლიონელი ხარ, ოლიმპიკში თამაშზე ოცნებობ. ჩემი მშობლები ყოველთვის გვერდში მედგნენ. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ არ დავნებებულიყავი და მეც არ დავნებდი, ფეხზე უკვე სან-პრისტში წამოვდექი, სადაც 16 და 17 წლამდელთა გუნდებში ვითამაშე, მაგრამ მეორე სეზონში უკვე 19-წლამდელებში მავარჯიშებდნენ. ხანდახან, კიდეც მათამაშებდნენ. იქ ბევრი ჩემსავით დაწუნებული ფეხბურთელი იყო და ეს მეხმარებოდა. მარტო ლიონიდან 4 თუ 5 ვიყავით, მათთან კარგი გუნდი ჩამოვაყალიბეთ, ბევრი გოლი გამქონდა, ამან კი გზა გამიკვალა.

რთული იყო მეცში პირველი ნაბიჯებიც, რადგან აქამდე ოჯახს არ მოვწყვეტილვარ. 16 წლის ასაკში მარტო აღმოვჩნდი, ირგვლივ ყველა უცნობი იყო. ამას დაემატა, რომ საწყისი 6 თვე თამაში იშვიათად მიწევდა და 45 წუთი ვითამაშე. მეცში თავდაჯერებული კი მივედი, მაგრამ ამ ფაქტმა თითქმის გამტეხა. კიდევ ერთხელ არ დავნებდი და ჩემს შანსს დაველოდე. როგორც კი შანსი მომეცა, გამოვიყენე. მშობლებმა კიდევ ერთხელ დადებითი როლი შეასრულეს ჩემს კარიერაში. ხანდახან რთული ეტაპი უნდა გაიარო, რომ წარმატებული გახდე. ეს შრომის უნარებს გამოგიმუშავებს...



მეციდან სერენში გამანათხოვრეს, სადაც პირველი სეზონი ძალიან მაგარი მქონდა. რთული ასახსნელია, რა მოხდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ ყოველ უქმეებზე გოლების გატანაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ იჯარით სერენში გადასვლის შემდეგ შანსები მექნებოდა. იქ აღმოვაჩინე, რომ ყველას ჩემი ეიმედებოდა, კლუბის ხელმძღვანელობიდან დაწყებული, მწვრთნელით დამთავრებული. დიდებული გუნდი გვყავდა, ყველაფერი ბრწყინვალედ ამუშავდა, ერთად გავიზარდეთ. 21 თამაშში 19 გოლი გავიტანე და ჩვენ ელიტაში გადავედით.

როცა კლუბმა ბელგიაში კიდევ ერთი იჯარა შემომთავაზა, არ გამიპროტესტებია და უსიტყვოდ წავედი. თამაში მჭირდებოდა, თვითრწმენის მატება მჭირდებოდა და ეს კიდევ ერთხელ კარგი შესაძლებლობა იყო. ბევრი სპეციალისტი ამბობდა, რომ ამდენი გოლი პირველ სეზონში იმიტომ გავიტანე, რომ ეს არ იყო პირველი დივიზიონი, მათთვის დამტკიცება მსურდა, რომ ცდებოდნენ. მეცშიც ბევრისთვის მინდოდა ამის დამტკიცება. ბელგიის მთავარი ლიგა უფრო რთული იყო. წარმატებას წარუმატებლობა მოსდევდა და ასე შემდეგ, მაგრამ 9 ბურთი მაინც გავიტანე. ახალი მწვრთნელების დახმარებით ტაქტიკურად უკეთესი მოთამაშე გავხდი. მეორე სეზონმა სერენში ბევრი მომცა, გაცილებით უკეთესი ფეხბურთელი გავხდი და მრავალმხრივი.

მეცში დაბრუნება გამიხარდა, რადგან ამ გუნდის მაისურითაც შემეძლო გოლების გატანა და ფანების გახარება. ამასთან, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ მარტო იჯარით გასაშვები ფეხბურთელი არ ვიყავი. 7 გოლი 14 თამაშში? რა უნდა ვთქვა – აქ გოლების გასატანად ვარ და შედეგიანობა სულაც არ მაკვირვებს. სიმართლე გითხრათ, ჩემი თამაშით 100%-ით კმაყოფილი არ ვარ.

იყო რთული დროება, როდესაც ზედიზედ 7 მატჩში ვერ გავიტანე. ვერც გუნდი იგებდა, ცუდად ვთამაშობდით და ჩემი საგოლე შანსებიც შემცირდა. ვერც გამქონდა და ცოტა იმედგაცრუებული დავრჩი. ამ დროს, ვარჯიშებზე ყველაფერი კარგად იყო, კარგად გამოვიყურებოდი, მაგრამ ეს მატჩებში არ აისახებოდა. არც ამჯერად დავნებდი და ეს სერიაც შევწყვიტე. თუ ლეო მესისა და კრიშტიანო რონალდოს არ ჩავთვლით, კარიერაში ცუდი პერიოდები ყველა ფეხბურთელს აქვს.

მოსამატებელი ბევრი მაქვს, უნდა გავხდე უფრო სტაბილური და გუნდისთვის უფრო გადამწყვეტი ფიგურა. თავიდან უგოლო სერიები უნდა ავიცილო, რაზეც ბევრი სამუშაოა.

მეტოქის კართან სწრაფი, ტექნიკური და ეფექტური ვარ. ასევე, ვფიქრობ, რომ ჭკვიანი ფეხბურთელი ვარ. ასევე, ვცდილობ, ნაკლებ კონტაქტში ვიყო მცველებთან, რადგან, ძირითადად, ისინი აღნაგობით აღმემატებიან და დუელებში მეტი შანსი აქვთ. ეს მაძლევს საშუალებას, მათზე ადრე მოვხვდე საჭირო ზონაში.

ლიონში მოთამაშე ქარიმ ბენზემასთან მამსგავსებენ? ბენზემას საოცარი კარიერა აქვს, რომელიც ლიონში იწყებოდა. მოიგო ფეხბურთელისთვის საოცნებო პრიზი – ოქროს ბურთი და ჩემი ერთ-ერთი მისაბაძი ფეხბურთელია. კარგია, თუ მადარებენ.

რაც ფეხბურთს ვთამაშობ, სულ 9 ნომერი ვიყავი და ჩემი საყვარელი პოზიციაა. ამ სეზონში ხან მარცხნიდან ვუტევ, ხან თავდამსხმელის უკნიდან, ხან ერთადერთ ცენტრფორვარდად. ამის გამო არ ვწუხვარ. თავდამსხმელის უკან სულ სხვა ფუნქციები მაქვს და ბურთიც უფრო ხშირად მაქვს. ამ დროს ერთი-ორი შეხებით უნდა გავიდე ფონს და გუნდისთვის მართებული გადაწყვეტილებები მივიღო.

თუმცა, მთავარი გოლებია და არა პოზიცია. ჩემთვის ასე იყო პატარაობიდანვე და ეს ჩემში ზის. გოლები ყველაზე მეტად მამხიარულებს და მაბედნიერებს. ფორვარდი ვარ და გოლები უნდა გავიტანო, შანსი რომ მომეცემა, ბურთი ბადეში უნდა აღმოჩნდეს.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ჩემი მშობლები გაიზარდნენ და ზოგიერთი ოჯახის წევრი ახლაც იქ ცხოვრობს. ეს ბუნებრივი არჩევანი იყო. ნაკრებში თამაშის შანსი მომეცა და ერთი წამითაც არ მიყოყმანია. საქართველოს ნაკრებში თამაში გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ ჯერ მთავარ მწვრთნელს, ვილი სანიოლს ვესაუბრე. მინდოდა, მისი აზრი მომესმინა ჩემზე. რაც მან მითხრა, ძალიან მომეწონა.

როცა ნაკრებში მიძახებენ, ყოველ ჯერზე ძალიან ბედნიერი ვარ და ძალიან ვამაყობ, როცა ეროვნული გუნდის მაისურით მოედანზე გავდივარ. ძალიან დიდი პლუსია, შენთან ერთად ან შენს წინააღმდეგ, დიდ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები რომ თამაშობენ. ეს უდიდესი გამოცდილების დაგროვების შანსიცაა. ყოველ ჯერზე, როცა ნაკრებიდან კლუბში ვბრუნდები, ვგრძნობ, რომ გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი.

მიქაუტაძე საფრანგეთში დაიბადა და გაიზარდა. საქართველოს ნაკრებში თამაში 2021 წელს გადაწყვიტა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების ფორმით 13 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

# საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია გახდა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყოველწლიური დაჯილდოება GFF Awards 2022 სასტუმრო შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში გამართა.**




2022 წლის რჩეულების გამოსავლენად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა, ფუტსალისა და ქალთა ლიგების მთავარმა მწვრთნელებმა, კაპიტნებმა და ვეტერანმა ფეხბურთელებმა. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ორგანიზებით კი, პროცესში მედიის წარმომადგენლებიც ჩაერთნენ.

დაჯილდოება ალექსანდრე ჩივაძის მედლის მფლობელების გამოვლენით დაიწყო, რომელიც 2006 და 2004 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებს გადაეცათ. ტრადიციულად, დაჯილდოებაზე კრისტალბეთ ეროვნული ლიგის საუკეთესოები გამოვლინდნენ.

**ალექსანდრე ჩივაძის მედალი – 17 წლამდე**

**ოქრო:** სოსო კოპალიანი (ლოკომოტივი);

**ვერცხლი:** საბა გეგუჩაძე (საბურთალო);

**ბრინჯაო:** ალექსანდრე თურქია (დინამო თბილისი).

**ალექსანდრე ჩივაძის მედალი – 19 წლამდე**

**ოქრო:** ლუკა ლაცაბიძე (დინამო თბილისი);

**ვერცხლი:** საბა გოგლიჩიძე (ტორპედო);

**ბრინჯაო:** ჯადული იობაშვილი (დინამო თბილისი).

**სპეციალური პრიზი მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის**

დიმიტრი არეშიძე და ზვიად ცარციძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მასობრივი ფეხბურთის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სპეციალური ჯილდო გადაეცა ორ ადამიანს, რომლებიც თავიან რეგიონში თავდაუზოგავად შრომობენ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს ფეხბურთში.

დიმიტრი არეშიძე ფეხბურთის ახალგაზრდა ენთუზიასტია თერჯოლიდან, რომელიც სფფ-ს მხარდაჭერით გამართულ თითქმის ყველა რეგიონალურ პროექტში მონაწილეობს – მწვრთნელობს, თამაშობს და აქტიურადაა ჩართული საორგანიზაციო საქმეშიც.

ზვიად ცარციძე საჩხერის ქალთა გუნდის მწვრთნელია, ასევე წვრთნის ვაჟთა ასაკობრივ გუნდებს და აქტიურად არის ჩართული ადგილობრივ საფეხბურთო პროცესებში.

**2022 წლის საუკეთესო მსაჯი**

ალექსანდრე აფციაური;

**2022 წლის სეზონის ქალთა ლიგის საუკეთესო მწვრთნელი**

ავთანდილ რევიშვილი (მართვე, ქუთაისი);

**ნომინანტები:** გიორგი ჩხაიძე (ლანჩხუთი), ავთანდილ რევიშვილი (მართვე, ქუთაისი), გივი კვარაცხელია (სამეგრელო, ჩხოროწყუ);

**2022 წლის სეზონის ქალთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი**

ლელა ჭიჭინაძე (დინამო სოხუმი);

**ნომინანტები:** ლელა ჭიჭინაძე (დინამო სოხუმი), ეთერ სულაშვილი (ლანჩხუთი), მაიკო ბებოა (სამეგრელო, ჩხოწორყუ);

**სპეციალური პრიზი**

ვინდფორსი

2022 წელს, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ეროვნული გუნდებისთვის ერთიანი ბრენდ პლატფორმა შეიქმნა. შეიცვალა ბრენდის ვიზუალური და ვერბალური იდენტობა და პირველად, ეროვნულმა გუნდებმა უნიკალური დიზაინის მაისურებით ითამაშეს. ბრენდის ახალი პლატფორმის შექმნაზე საკომუნიკაციო სააგენტო ვინდფორსმა იმუშავა.

**სპეციალური პრიზი**

უეფას 2022 წლის ფუტსალის ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის – საქართველოს ფუტსალის ნაკრები

2022 წელს, საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა და საუკეთესო 8 გუნდს შორის მოხვდა. ამ წარმატების აღსანიშნავად, გუნდი სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა, რომელიც ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს, ავთანდილ ასათიანს გადაეცა.

**2022 წლის ფუტსალის საუკეთესო მოთამაშე**

ზვიად კუპატაძე;

**ნომინანტები:** გიორგი ღავთაძე, ზვიად კუპატაძე, შაგინია;

**2022 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი**

ანზორ მექვაბიშვილი;

**2022 წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი**

ეთერ სულაშვილი (ლანჩხუთი);

**ნომინანტები:** ეთერ სულაშვილი (ლანჩხუთი), მაიკო ბებოა (სამეგრელო, ჩხოროწყუ), ლელა ჭიჭინაძე (დინამო სოხუმი);

**2022 წლის საუკეთესო ფეხბურთელი**

ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია);

**ნომინანტები:** ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მხარე ავსტრიაში; 2. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 3. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 4. პიგმენტაცია დარღვეული ადამიანი; 8. ქართველი მხატვარი; 9. ზღვის კომბოსტო; 11. სპორტსმენთათვის აკრძალული, აღმგზნები ნივთიერება; 12. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. ენაჩლუნგობა; 17. სპილენძის საბადო ბოლნისის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. ღვინის თიხის სასმისი.

**თარაზულად:** 5. უბანი ქუთაისში; 6. ღუზის ამოსაქაჩი ჯალამბარი გემზე; 7. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 10. დაბალი საამო ხმით მღერა; 13. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 15. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობდნენ; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 20. სამელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 22. მადის მოსაყვანი, მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 23. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 24. ფრანგული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაკირი; 2. კაკაჩი; 3. ივერი; 5. ბანა; 6. ჩაფარი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. რენუარი; 15. ბაობაბი; 19. გოია.

**თარაზულად:** 1. ფაბრიკაცია; 4. დამბაჩა; 7. კონიაკი; 9. რემისია; 10. აპაჩი; 14. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ბაზიერი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 22. მირზაანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხერესი; 2. ონაგატა; 3. ჯავახეთი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. შეიკერი; 12. იენი; 14. არფა; 16. კოლექცია; 17. მაშავერა; 19. ფროიდი; 21. ვოლვო.

**თარაზულად:** 5. სავოიარი; 6. ჯარგვალი; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. კანადა; 15. სნუკერი; 18. ჰოპერი; 20. რატუშა; 22. პროვიზორი; 23. ბილბორდი; 24. ავტოჟირი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.7009 |
| ევრო | — 2.8800 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.2578 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.8486 |

## ამინდის პროგნოზი 28 დეკემბრისათვის




## იურგენ კლოპი: „ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ“

ლივერპულმა სტუმრად ასტონ ვილა დაამარცხა და მატჩის შემდეგ იურგენ კლოპი კმაყოფილებას არ მალავდა. მისი თქმით, ლივერპულმა შეძლო თავისი ჩვეული თამაშის ჩვენება და ეს ასე უნდა გაგრძელდეს: „მინდა, რომ სეზონის ბოლომდე გამოვასწოროთ ის შეცდომები, რაც აქამდე დავუშვით და ასევე მაქსიმალური ქულების რაოდენობა დავაგროვოთ და თუ ასე ვითამაშებთ, ეს შესაძლებელი იქნება“.

## კოუტინიომ შესაძლოა ასტონ ვილა დატოვოს



ასტონ ვილა ფელიპე კოუტინიოს გაყიდვას აპირებს, რადგან ბრაზილიელ ფეხბურთელს გუნდში არაფერი გამოსდის და უნაი ემერის მისი იმედი არ აქვს. გარდა ამისა, თვითონ კოუტინიოსაც არ სურს ასტონ ვილაში კარიერის გაგრძელება და მას სხვა გუნდში გადასვლა უნდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოუტინიო სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას ფლამენგოში გააგრძელებს.

## ტერ შტეგენი: „ბარსელონა მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის“

ბარსელონას მეკარემ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა ბარსელონაზე ისაუბრა და თქვა, რომ კატალონიელები მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ და მათ შეუძლიათ ტიტულების მოგება: „ბარსელონას წელს ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავს და ეს უნდა გამოვიყენოთ, თუმცა ვიცით, რომ წინ ბევრი რთული მატჩი გველის. ამისთვის მზად ვართ და სეზონის განახლებას მოუთმენლად ველით“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– გინდა სექსი მშვენიერ ფერადკანიანთან?
– ჰო, მინდა!
– მაშინ სოლარიუმისთვის ფული მომეცი!

•••

კლიენტი გამყიდველს ეუბნება:
– გუშინ თქვენთან თევზი ვიყიდე და ძველი გამოდგა.
– უცნაურია, პირდაპირ ზღვიდან მოიტანეს.
– მაშინ, როგორც ჩანს, ფეხით წამოსულა, თანაც სიცხეში.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი წუწუნებს:
– მამისთვის ყური უნდა დამეგდო, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მისთვის უნდა მომესმინა! მე სულელი კი არ ვუსმენდი...
– და რას გეუბნებოდა?
– რა ჯანდაბა ვიცი, ხომ ვთქვი, არ ვუსმენდიიი...

•••

მასწავლებელი მათემატიკის გაკვეთილზე გოგის ეკითხება:
– წარმოიდგინე, რომ 200 ლარი მოგეცი. შენ 50 ლარი მიეცი მაყვალას, 50 ლამარას და 50 ნაზის, შენ რა გექნება?
– ორგია...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– ლამარა, შენი ქალიშვილი ისევ თეთრ ბენტლიზე ამხედრებულ პრინცს ელოდება?
– ეჰ, მთავარია, კარგი ყმაწვილი იყოს და რა მნიშვნელობა ექნება, რა ფერის ბენტლი ეყოლება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანი ბებია და ილო ბეროშვილი მეორე ბიჭის მშობლები გახდნენ



მსახიობები ანი ბებია და ილო ბეროშვილი 26 დეკემბერს მეორე ბიჭის მშობლები გახდნენ. პატარა დავით დავარაშვილის კლინიკაში დაიბადა.

სასიხარულო ინფორმაცია ილომ სოციალურ ქსელში გაავრცელა და უამრავი მილოცვაც მიიღო.

ანის და ილოს პირველი ბიჭი – ჯერი ჰყავთ. ილოს კი პირველი ქორწინებიდან ჟურნალისტ ნელიკო აგირბასთან ორი გოგონა ჰყავს.

## თავისუფალი თეატრი მსოფლიო თეატრალურ ოლიმპიადაში მონაწილეობს

თავისუფალი თეატრი მსოფლიო თეატრალურ ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც სამ თვეს გასტანს. ოლიმპიადაში მონაწილეობენ საქართველო, საბერძნეთი, იაპონია, შვეიცარია, სერბეთი, იტალია, რუმინეთი, ინდოეთი, მექსიკა, ჩინეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ბელგია, უნგრეთი, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი.

**ავთანდილ ვარსიმაშვილი, თავისუფალი თეატრის დამაარსებელი:**

– 2023 წელს, ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენა, მსოფლიო თეატრალური ოლიმპიადაა, რომელიც ტარდება უნგრეთში, ბუდაპეშტში და უნგრეთის პრაქტიკულად ყველა ქალაქში. ოლიმპიადაზე სამი თვის მანძილზე – აპრილი, მაისი, ივნისი – წარმოდგენილი იქნება როგორც მთავარი პროგრამა, რომელშიაც 30-მდე სპექტაკლია, ასევე ღია პროგრამაც, სადაც 1000-ზე მეტი სპექტაკლი იქნება წარმოდგენილი. საქართველო მონაწილეობას მიიღებს მთავარ პროგრამაში, „თავისუფალი თეატრის“ ორი სპექტაკლით „რიჩარდ მესამე“ და „ოტელო“. გარდა ამისა, ოლიმპიადის დახურვისთვის სპეციალურად მომზადებულ სპექტაკლში „ადამიანის ტრაგედია“, რომელსაც დადგამს ცნობილი და ჩემი საყვარელი უნგრელი რეჟისორი ატილა ვიდნიანსკი, ათზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდა მსახიობთან ერთად, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის 14 სტუდენტიც მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენი სპექტაკლების ჩვენების პერიოდში, ოლიმპიადამ მიიწვია საქართველოს კულტურის მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი. ახლა, როდესაც უკვე ოფიციალურად გამოცხადდა 2023 წლის თეატრალური ოლიმპიადის მთავარი პროგრამა, მეგობრებისა და კოლეგების თხოვნით და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით, ვაქვეყნებ უკვე თარიღებით დამტკიცებულ მთავარ პროგრამას, რომელსაც აკლია და უახლოეს პერიოდში დაემატება კიდევ ის რამდენიმე სპექტაკლი, რომელთა ჩვენების დეტალებიც ამ ეტაპზე ზუსტდება. პროფესიონალი მაყურებელი, ვისთვისაც ცნობილია მონაწილეთა სახელები, პროგრამის გაცნობის შემდეგ ადვილად მიხვდება, თუ რას განვიცდით და როგორ ვღელავთ მთელი თეატრი.

## ვალერიან შიუკაშვილი ქუთაისში დაუკრავს




პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი 2022 წლის მიწურულს კონცერტს გამართავს.

29 დეკემბერს მუსიკოსი ქუთაისს ესტუმრება, სადაც მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრში კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელის წინაშე წარდგება.

ვალერიან შიუკაშვილი დამსწრე საზოგადოებისთვის ცნობილი კომპოზიტორების ცნობილ ნაწარმოებებს შეასრულებს.

## ანდრია გველესიანმა საახალწლო სიმღერაზე კლიპი გადაიღო



ანდრია გველესიანმა საახალწლო სიმღერა დაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო. ახალი ნამუშევრის პრეზენტაცია მომღერალმა სოციალურ ქსელში მოაწყო:

– საახალწლო სიმღერისა და ვიდეოს მთავარი მუზა, რა თქმა უნდა, ჩვენთვის საყვარელი ადამიანები და ჩვენი ოჯახია. ხშირად ვერ ვხვდებით მათთან ერთად ახალ წელს ჩვენი პროფესიების გამო, ამიტომაც ვეცადეთ, ამ ვიდეოთი გადმოგვეცა, თუ რა არის ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება და სიმდიდრე.

უდიდესი მადლობა ჩემს ბენდს და ბიჭებს, ვის გარეშეც ეს პროდუქტი ვერ შედგებოდა, მათი დამსახურებაა ყველაფერი. მადლობა ჩვენს საყვარელ და უნიჭიერეს კაცს ალეკო ბერძენიშვილს, რომელმაც გული და სული ჩადო ამ სიმღერაში, ჩვენს ბრავო რექორდსს, ზაზა შენგელიას გვერდში დგომისთვის.

სიმღერის უკეთ აღსაქმელად ყველაზე მნიშვნელოვანია ვიზუალიზაცია, რისი პელეც და უმაღლესი ლეველიც გახლავთ ჩემი ძმაკაცი გიორგი ძოწენიძე. ჩემთვის ფასდაუდებელია მისი გვერდში დგომა და ის პროფესიონალიზმი, რასაც მოკლე დროში აღწევს ხოლმე – ძირითადად სულ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ვმუშაობთ. ყველაზე დიდი მადლობა ჩვენს ოჯახებს, თქვენ ხართ ჩვენთვის ყველაფერი. მე კი მადლიერი ვარ ღმერთის, ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერებისათვის – მაიკოსა და სანისთვის.

## სოსო ბლიაძის ფილმმა ოქროს პრომეთე მოიგო

რეჟისორ სოსო ბლიაძის მხატვრულმა ფილმმა „ჩემი ოთახი“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი – ოქროს პრომეთე – საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის მიიღო.

ფილმი ბრიტანული კინოინსტიტუტის ლონდონის კინოფესტივალზეც იყო წარმოდგენილი. რეჟისორმა ფილმი პანდემიის პერიოდში გადაიღო და სიუჟეტიც სწორედ პანდემიის პერიოდს და ორი გოგოს ცხოვრების საინტერესო ეპიზოდს ასახავს.

ფილმში მთავარ როლებს თაკი მუმლაძე და მარიკა ხუნდაძე ასრულებენ. თაკი მუმლაძე ამავე დროს სცენარის თანაავტორია.

ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გადაეცა ორ ქართველ მსახიობს – თაკი მუმლაძეს და მარიამ ხუნდაძეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 28 დეკემბრისათვის

**ვერძი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გეზრდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **კურო** – მიენდეთ ინტუიციას. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **ტყუპები** – უკმაყოფილო ხართ. ინტუიცია სუსტდება. კარგი იქნება, თუ რთულ სიტუაციაში რჩევისთვის ჭკვიან ადამიანს მიმართავთ. **კირჩხიბი** – სამსახურსა და პირად ცხოვრებაში უსიამოვნებას შეხვდებით. საკუთარი მოვალეობები უდიდესი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. **ლომი** – შესაძლოა, გეგმები ძირფესვიანად შეგეცვალოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტებთან მიმართებით. **ქალწული** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. შეცდომების გამოსასწორებლად იშვიათი შანსი გეძლევათ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **სასწორი** – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ. **ღრიანკალი** – კრიტიკული პერიოდია. საქმიანი პარტნიორის მიერ დაშვებული შეცდომა დაგაზარალებთ. **მშვილდოსანი** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და იმის მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – დროა, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მარტოხელებმა პარტნიორის არჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოთ. **მერწყული** – სწორედ დღეს, შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეიცვალოს. გელით ასევე შემოქმედებითი არეალის გაფართოება. **თევზები** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღვინის წარმოების და ვაჭრობის ცენტრი ბურგუნდიაში; 2. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. გერმანელი ნეირობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 6. ალბერტო მორავიას რომანი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის სახელწოდება ძველად საქართველოში.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 9. თავადაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 12. თაობიდან თაობაზე გადაცემული ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 16. ფქვილით, ხახვით, ძმრითა და კვერცხით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 17. მოყვითალო ფერის, ფუტკრის მსგავსი მწერი; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 22. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

